პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
სუთშაბათი
7 თებერვალი
№ 31 (17676)
ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატობის კანდიდატები

თქვენ მოგმართავთ

ძვირფასო მკითხველო!

ადამიანებს ასე სჩვევიათ: წელიწადი რომ დამთავრდება, წარსულს ჯამს გამოუყვანენ და ახალ, სამომავლო საქმეებს დასახავენ.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამაც გადაწყვიტა ამ წერილში გასული წლის მოკლე ანგარიშით წარდგეს მკითხველის წინაშე და ახალი წლის გეგმებზე მოეთათბიროს ახლა.

ყველაზე მთავარი და გაზეთის შარშანდელი ნომრებისათვის დამახასიათებელი ის გახლდათ, რომ, ისრულებდა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რედაქცია შეეცადა მეტი ყურადღება მეტი საგაზეთო ფართი დაეთმო მასალებისათვის, რომლებიც მკითხველს სურვილსა და განწყობილებას გამოხატავდა. მკითხველთა ფართო მასების სრული და შეულამაზებელი ინფორმირება, წლობით დადგენილი შტამპებისა და სტერეოტიპების დაძლევა, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ბოლო წლების პრაქტიკისათვის დამახასიათებელი თამამი, ღრმა და საჯარო განხილვა საზოგადოებრივი ყურადღების საჭირბოროტო პრობლემებისა — აი დევიზი. ძირითადი პრინციპები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა გაზეთი. მათ განხორციელებას დიდად შეუწყო ხელი რედაქციაში მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური ავტორების. მათ შორის გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და პუბლიცისტების მოსვლამ. შემოვიღეთ რამდენიმე ახალი რუბრიკა, რომლებიც მკითხველმა მიიღო და მოიწონა. მაგალითად, ჯამდება ეკონომიკური ეფექტი გაზეთის მიერ გამოვლენილი საწარმოო რეზერვებისაგან („კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს“), სისტემატური გახდა რუბრიკა „თეორიის საკითხები“, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმისათვის მზადების პროცესში და პლენუმის შემდეგ უფრო შინაარსიანი გახდა „პარტიული ცხოვრების“ განყოფილებაც, მომეტებული ინტერესი აღინიშნება საერთაშორისო მიმოხილვის მიმართ („დედამიწის ზურგზე“). სარედაქციო ფოსტა მოწმობს, რომ მკითხველმა გამოარჩია ყოველთვიური გვერდი „წერილები რედაქციას“, რუბრიკები: „როგორ გვემსახურებიან?!“, „ძველი — ცოცხალი წინააღმდეგ“, „კომუნისტის საკვანძო საკითხავი“, „ხუსხიანი სტრიქონები“, „გაზეთი ჩაერია, დაეხმარა“, „ვუბრუნდებით დაბეჭდილს“ და სხვა. რამდენადმე გახალისდა შაბათისა და კვირის ნომრები.

შარშან თებერვალში გაჩნდა საზოგადოებრივმა. მეხალეებმა წლის გოლომდე 1200-ზე მეტი კაცი მიიღო. 6 ასეასზე მეტ მკითხველს გაეგზავნა წერილობითი კონსულტაცია.

ეს ყოველივე უკვე წარსულია. წინ კი, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის, მშრომელების, მთელი ხალხის წინაშე მდგომი მართლაც გრანდიოზული ამოცანების შესაბამისად, საქმენი გველის გაცილებით მრავალფეროვანი, რთული, და დანიშნულებითაც გაცილებით დიდი, სანიჭაოდ.

ი მიიწურა ახალი წლის იანვარიც. ერთი კვირაა, რაც თებერვალმა თავისი სათვალავი დიიწყო. უკვე ნათლად იხატება მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ეკონომიკური კონტურები.

ქართველი ხალხის, საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანთა დაძაბული, დამკვრელ ური შრომა რესპუბლიკას უთუოდ გაიყვანს ხუთწლედის შესრულების სანუკვარ მიჯნაზე და ეკონომიკურ, საერთაშორისო, პოლიტიკურ თუ ბუნების ჭირვეულობათა გამო გამოწვეულ სიძნელეთა ფონზე ეს იქნება კიდევ ერთი ბრწყინვალე გაქმარჯება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და მისი კომპარტიის ისტორიაში.

და არა მარტო ამიტომ ელის 1980 წელს ისტორიაში სამახსოვრო მისია. აპრილში მთელი ჩვენი ქვეყანა დიდი ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს იზეიმებს მაისში—დიდ სამამულო ომში გამარჯვების 35-ე წლისთავს, ხოლო მთელი წელიწადი სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის აქტიური მზადებით აღინიშნება.

კიდევ ერთი თარიღია წელს — ქართული პრესის ფლაგმანს გაზეთ „კომუნისტს“ 60 წელი უსრულდება.

გასაგებია, რომ ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს გაზეთი ფართოდ, თავის შესაძლებლობათა სრული გამოყენებით, გაორკეცებული მონდომებით აღნიშნავს.

მიმდინარე წელს, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების ნიშნით, გაზეთი „კომუნისტი“ თავის უმთავრეს მოგალეობად და მუშაობის მთავარ მიმართულებად თვლის მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის სასახელო საქმეთა საგაზეთო მატიანის შექმნას. იგი ასახავს საქართველოს კომპარტიის, მთელი ხალხის თავდადებულ მოღვაწეობას რესპუბლიკის ეკონომიკურ-სოციალური და კულტურული მონაცემების საერთო-საკავშირო დონემდე აყვანისათვის. სპეციალური გვერდები მიეძღვნება სახალხო მეურნეობის დარგებსა და ჩვენი ცხოვრების სფეროში მომხდარ არსებითს სასიკეთო ცვლილებებს. არც პრობლემები იქნება დავიწყებული. გაზეთის ფურცლებზე გამოვლენ რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, შემოქმედებითი კავშირების მდივნები, პუბლიცისტები. რედაქციის შემოქმედებითი მივლინებით რამდენიმე თვე დაპყვეს გურჯაანში გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა კ. ლორთქიფანიძემ და გ. ნატროშვილმა. მათი ნარკვევები, ისევე როგორც აბაშის რაიონის ამბები, უთუოდ დაამშვენებს ჯერ „კომუნისტის“ ფურცლებს, შემდეგ კი წიგნების სერიას „მწერლები—ხუთწლედს“.

და რუბრიკა „ყრილობიდან ყრილობამდე“ თავის დამაგვირგვინებელ მასალებს გამოაქვეყნებს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გახსნის დღეს.

„კომუნისტი“ განაგრძობს სახალხო მეურნეობის აქტუალური პრობლემების დამუშავებას. წარმოების ეფექტიანობა და ხარისხი, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა და სოციალისტური შეჯიბრება, მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაცია, მეცნიერების მიღწევათა წარმოებაში დანერგვა — ამ საკვანძო საკითხებზე კვლავ იქნება სჯა-ბაასი გაზეთის ფურცლებზე. მშენებლობაზე შექმნილ საგუშაგოებთან ერთად დაარსდება საგუშაგოები ტრანსპორტზე, ფართოდ გაშუქდება მომსახურების ყველა სფეროს ავ-კარგი. სპეციალისტების ჯგუფი იმუშავებს ყოველთვიურ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვებზე.

აღზრდის თემას დაეთმობა რუბრიკები, „იდეოლოგია და ცხოვრება“, „ძმაო, ძმაო ხარ ძლიერი“, „ტრადიცია და თანამედროვეობა“, „მამათა მაგალითი“, „აღზრდას — კომპლექსური მიდგომა“, „ჩვენი შინაგანი რეზერვები“, „ჩვენ და საზოგადოება“, „თეატრი-კათედრა“ და ა. შ.

ცნობილია, რომ ბურჟუაზიული პრესა შემთხვევას არ უშვებს ათასნაირი მონაგონი გაავრცელოს საბჭოთა კავშირზე და ამ კავშირის ერთ-ერთ თვალსაჩინო წევრზე — საქართველოზე. მასალებში ახალი რუბრიკით „უკაცრავად, ბატონებო!“ საკადრისი პასუხი გაეცემა ამგვარ გამოხდომებს, მეორე ახალი რუბრიკა „სპორთველო უცხოეთის პრესაში“ ახახავს მსოფლიოს ობიექტურ საზოგადოებრივ აზრს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე.

კიდევ ერთი რუბრიკა „მეცნიერება — მატერიალური ძალა“ ჩადგება მკითხველის სამსახურში. გაზეთში აქამდე სერიოზულად მოიკოჭლებდა მეცნიერებისა და ტექნიკის პოპულარიზაციის საქმე. იშვიათად ჩნდებოდა რუბრიკა „XXI საუკუნის კარიბჭესთან“. წელს გათვალისწინებული გვაქვს მეცნიერებისა და სკოლების განყოფილების საგრძნობი გააქტიურება. მასალებს ახალგაზრდობაზე, სტუდენტებზე, მოზარდებზე რედაქციას შეეპირდნენ აღზრდისა და განათლების ისეთი სპეციალისტები, როგორიც არიან ვ. ოკუჯავა, დ. ლორთქიფანიძე, უ. ობოლაძე და სხვები. წელს ნარკვევებსა და ჩანახატებში მკითხველს გვსურს მოვუთხროთ უმაღლესი და საშუალო განათლების რამდენიმე თვალსაჩინო მუშაკზე, იმათზე, ვინც სწავლებისა და აღზრდის პროცესი ერთიანად აქცია.

ბუნებრივია, ოლიმპიურ წელს გაზეთში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასალებიც უფრო ფართოდ წარმოჩინდება.

როგორც მკითხველს მოეხსენება, რესპუბლიკის სისხლსავსე იდეურ, პოლიტიკურ, სამეურნეო ცხოვრებას ჩრდილსა და ზიანს აყენებს, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საბოლოო გაჯანსაღებას ხელს უშლის მართლწესრიგის, კანონიერების დარღვევა, რომელიც, ხანგრძლივი და დაძაბული მეცადინეობის მიუხედავად, კვლავ რჩება საზოგადოებრივი წინსვლის შემაფერხებელ ფაქტორად, ყველაზე მტკივნეულ საკითხად.

ამ დღეებში გამართულ რესპუბლიკური პარტიული აქტივის კრებაზე ამხ. ე. ა. შევარდნაძემ თქვა, რომ ხალხი და პარტია მზად არიან ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ გრძოლას ახალი მძლავრი ბიძგი მისცენ, რაც აუცილებელია ამ მიმართულებით უკვე მიღწეულის განსამტკიცებლად და გასაგრცობად.

სწორედ ამ მიზანს მოემსახურება ახლახან შემოღებული სპეციალური ფურცელი „ფეხი, რიგი და ჩვენ“, რომელშიც სისტემატურად, კვირაში ერთხელ გაშუქდება მართლწესრიგის პრობლემატიკა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესაბამისად მომდინარე წელს გაზეთი ფართოდ გააშუქებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხებს. თებერვალში დაიწყება გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ვ. პ. ზენკოვიჩის სტატიების სერიის ბეჭდვა ბიკვინთის სანაპიროს კვლევისა და დაცვის თაობაზე. მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ სპეციალურად მოიწვია რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის კონსულტანტად.

რედაქციას წელს განზრახული აქვს მეტი ადგილი დაუთმოს „საკვანძო საკითხავს“; აგრეთვე ე. წ. სალაღობო მასალებს. ვფიქრობთ, მკითხველი კმაყოფილებით შეხვდება ცნობილი მოხკოელი მწერლისა და ჟურნალისტის, ჩვენი თანამემამულის ალექსანდრე კიკნაძის მოგზაურობის დღიურებს, რომელმაც შარშან გაზეთ „პრავდისა“ და „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტობა ითავა გემ „ზოთა რუსთაველით“ საზღვარგარეთ მრავალთვიანი ტურნეს დროს. „პრავდამ“ უკვე დაბეჭდა მისი რამდენიმე ნარკვევი, ჩვენც უახლოეს ხანში დავიწყებთ ამ პუბლიკაციას, მომზადებულს მხოლოდ „კომუნისტისათვის“.

გაზეთის სარედაქციო კოლეგია კვლავაც თავის უპირველეს საზრუნავად მიიჩნევს მკითხველთა წინადადებებსა, წერილებსა და საჩივრებზე ოპერატიულ და საქმიან რეაგირებას. მოეწყობა გამსვლელი მისალები საწარმოებში, გაიმართება მკითხველთა კონფერენციები და ა. შ.

შარშან რედაქციაში, ისევე როგორც მთელი ჩვენი რესპუბლიკის ორგანიზაციებსა და წარმოება-დაწესებულებებში, მოქალაქეთა მიღების დღედ დაწესებული იყო ორშაბათი (8-დან 8 საათამდე). ჩვენი მუშაობის პრაქტიკამ აქაც შეგვატანინა საჭირო კორექტივი: ორშაბათობით აუცილებელი სარედაქციო თუ სხვა გადაუდებელი თათბირის, ხალხმრავლობის გამო მიღება გვიან ღამემდე გრძელდებოდა. რაც დიდ უხერხულობას უქმნიდა მოქალაქეებს, განსაკუთრებით რაიონებიდან ჩამოსულთ. ამიტომ მიღების მაღალი ორგანიზაციის, მკითხველისა და ჟურნალისტის შეხვედრის გაადვილების მიზნით, სარედაქციო კოლეგიამ დაადგინა, რომ 1980 წლის 1 მარტიდან რედაქციაში მიღება იწყრამოებს ყოველდღიურად, დღის 4 საათიდან 7 საათამდე და ამრიგად მიღების საათები კვირაში შეადგენს 15 საათს.

იქნება ზოგიერთი სხვა სიახლეც. მაგალითად, 1 მარტიდან მყარდება პირდაპირი სატელეტაიპო კავშირი გაზეთ „პრავდის“ რედაქციასთან, რაც საშუალებას მოგვცემს ქართველ მკითხველს „პრავდის“ გამოსვლის დღესვე მივაწოდოთ ინფორმაცია მისი შინაარსის შესახებ.

ეს არის ჩვენი საქმიანი აღსარება შენს წინაშე, ძვირფასო მკითხველო!

ამასთანავე ხარედაქციო კოლეგია დიდი მოკრძალებით გამოთქვამს თავის ერთგულსტკივნეულობას.

აქამდე გასაგები, მაგრამ ახლა ალბათ უკვე მიუღებელი ინერციით არც თუ ისე იშვიათად ზოგიერთი მკითხველი გაზეთში მხოლოდ სათაურებს ათვალიერებს, ან მარტო მეოთხე გვერდის ინფორმაციებს კითხულობს, ხოლო მრავალი პრინციპული გამოსვლის არსს არ უღრმავდება.

ძვირფასო მკითხველო!

გულწრფელად ნუ გადახედავ ამ სამ სარედაქციო სვეტს, გულდასმით წაიკითხე ეს წერილი და საკუთარი მოსაზრება და სურვილი რედაქციას აცნობე, რადგან ყოველი მათგანი, დარწმუნებული ბრძანდებოდე, გათვალისწინებული იქნება და ამა თუ იმ ფორმით უთუოდ აისახება სამომავლო განზრახულობათა შორის.

ველით შენს ბარათს, მეგობარო!

წარჩინებული დოკერი

110

ლენინური შაბაკ-თოგა გვიხმობს

შრომითი შემართებით

ასე დაიწყის თელაველმა მეკონსერვეებმა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო ვახტი. იანვარში მათ გეგმით გათვალისწინებული 200 ათასი პირობითი ქილა კონსერვის ნაცვლად 341 ათასი გამოუშვეს, რითაც გეგმას 70,7 პროცენტით გადაჭარბეს. ასევე მაღალია პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებელი. პროდუქციის რაოდენობის ზრდასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა მის ხარისხს. აქ დამზადებული 8 სახეობის კონსერვს საპატიო ხუთიკუთხედი ამშვენებს.

„ივიმუშაოთ ლენინურად დამკვრელურად“! — ამ დევიზით შეჯიბრების გარდამავალი დროშის მოსაპოვებლად ერთმანეთს ეცილებიან ზინაიდა მაჭავარიანის, გიორგი სუხიტაშვილის, რევაზ გაბრიელაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადები. თავდადებით შრომობენ მუშები თამარ გრეგმელაშვილი, მარო ფირანიშვილი, ნინო ლოდარსაბოვი, ციცინო ფირცხალაშვილი, ოლია ონაშვილი და სხვები.

ყოველთვის ახლის მაძიებელმა კოლექტივმა ერთ-ერთმა პირველმა დაიჭირა მხარი მოსკოვის საწარმოთა ინიციატივას ლენინური შაბათობის მოწყობის შესახებ, მან გადაწყვიტა 19 აპრილს იშრომოს ლენინურად — დამკვრელურად და გამომუშავებული თანხიდან ხუთწლედის ფონდში 500 მანეთი ჩარიცხოს.

დ. ბერგიშვილი,
„კომუნისტის“ კორ.

დაზოგილი ნედლეულით

ცხინვალი. („კომუნისტის“ საკ. კორ. გ. თედეევი). ქალაქის მუშათა კლასი ერთსულოვნად უჭერს მხარს მოსკოველთა ინიციატივას, რომ 19 აპრილს გაიმართოს ლენინური კომუნისტური შაბათობა. შრომითი კოლექტივები ამ დღეს დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით იმუშავებენ.

სამკერეალო ფაბრიკაში 19 აპრილამდე დარჩენილი ყოველი დღე დამკვრელურად გამოაცხადეს. აქ დაიწყის იმ რეზერვების გამოყენება, რომლებიც შაბათობის დღეს საშუალებას მისცემს მათ მიაღწიონ შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას, გააუმჯობესონ მუშაობის ხარისხი. 19 აპრილს საწარმოს მშრომელები 3 ათასი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას გამოუშვებენ.

ფოთის საზღვაო ნავსადგურში ღუღუნი გოგელიას უყვარა იცნობს. ბრიგადა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, ერთერთი საუკეთესოა. მის ანგარიშზე ბევრი სახარგებლო საქმეა. ბრიგადა სათავეში ჩაუდგა სოციალისტურ შეჯიბრებას ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

ოცდაორი წლის წინათ ღუღუნი გოგელიამ თავისი შრომითი საქმიანობა მტკვრისთავად დაიწყო. წლების მანძილზე გროვდებოდა გამოცდილება, და აი, იგი სათავეში ჩაუდგა ბრიგადას, რომელიც ნავსადგურში წამყვანი გახდა. მოწინავე დოკერს სამჯერ მიანიჭეს „პროფესიაში საუკეთესოს“ წოდება.

შრომაში ,,ვარგი მაჩვენებლებისათვის ,,კომუნისტი დაჯილდოებულია მესამე ხარისხის შრომითი დიდების ორდენით.

ამ დღეებში ღ. გოგელიას ცხოვრებაში სასიხარულო ამბავი მოხდა: ფოთელმა დოკერებმა იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

სურათზე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ფოთის საზღვაო ნავსადგურის მექანიზატორი დოკერების ბრიგადის ხელმძღვანელი ღუღუნი გოგელია (მარცხნიდან მეორე) თავისი ბრიგადის წევრებთან ერთად.

ი. პოსტნოვლიძის ფოტო. (საინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მთელი რეზერვები — წარმოების სამსახურში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განხილულ იქნა შრომის დისციპლინის განმტკიცების, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების დამატებითი რეზერვების გამოვლენის საკითხები.

მოისმინეს საქართველოს სსრ შრომის ხელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის რ. ა. ჯაფარიძისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგის ნ. ვ. სანთელაძის მოხსენებანი.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი რ. ვ. ბასარია, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ე. თ. შეწირული, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე გ. მ. ზიკაძე, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილე ზ. გ. ჯინჭარაძე, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ვ. ი. ალავიძე, პარტიის ჭიათურის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი გ. ე. ჩიგოგიძე, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ი. ი. ხარებოვი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალაქ თბილისში რეზერვების გამომვლენი კომისიის თავმჯდომარე ო. ვ. ქვილითაია, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ვ. ა. ხაზარაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ბ. ზ. ბარსუკოვი.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ა. ჭითანავამ.

თათბირის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ჯანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

თათბირზე აღინიშნა, რომ ხუთწლედის განვლილი წლების მანძილზე რესპუბლიკის მრეწველობაში შეიმჩნევა სამეფაოს გაკეთებინთ, მოწყობილობის მოცდენით და შრომის დისციპლინის სხვა დარღვევებით გამოწვეული სამუშაო დროის დანაკარგების შემცირება. თუ 1975 წელს სამუშაო დროის დანაკარგები საშუალოდ ერთ კაცზე გაანგარიშებით 4,4 კაცდღეს შეადგენდა, 1978 წელს იგი სამ დღემდე შემცირდა.

მაგრამ სამუშაო დროის დანაკარგების შემცირების დასახული დადებითი ტენდენცია ვერ იქნება გულდამშვიდების საბაბი, ვინაიდან რესპუბლიკაში სამუშაო დროის დანაკარგები ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვანია და 1,7-ჯერ სჭარბობს საშუალო საკავშირო დონეს.

პარტიულმა, პროფკავშირულმა, სახალხო-სამეურნეო ხელმძღვანელებმა, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, კომპლექსურად და ყოველდღიურად უნდა ამუშაონ ამ პრობლემის გადასაჭრელად, გამოავლინონ და აღმოფხვრან სამუშაო დროის დანაკარგების გამომწვევი მიზეზები.

მიმდინარე წლის — მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახალხო-სამეურნეო ამოცანების განსაკუთრებული სიმძიმე, რომ გაიორკეცებინათ შარშან გამოვლენილი მრეწველობის პროდუქციის ზრდის დამატებითი რეზერვები 1980 წლისათვის. ხოლო გურჯაანის, ახალციხის, ცხინვალის, წულუკიძის, ჩხოროწყუს და ზოგიერთმა სხვა რაიონმა შეამცირეს კიდეც რეზერვების მოცულობა წინათ განსაზღვრულთან შედარებით, თუმცა ყოველ მათგანს აქვს პროდუქციის გამოშვების ზრდის არსებითი გამოყენებელი შესაძლებლობანი.

ამ თვალსაზრისით ჩამორჩენილი ქალაქებისა და რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს და რეგიონალურ სამუშაო კომისიებს თათბირზე წინადადება მიეცათ განგარძონ პროდუქციის გამოშვების ზრდის დამატებით შესაძლებლობათა ძიება.

ამოცანა ის არის, რომ დაწესებულ დაავალებათა მოცულობის გადამეტებით გამოვავლინოთ პროდუქციის გამოშვების რეზერვები 200 მილიონამდე მანეთის ოდენობით. ეს რესპუბლიკას შესაძლებლობას მისცემს უზრუნველყოს სამრეწველო წარმოების მატების ტემპის ხუთწლიანი გეგმის უცილობელი შესრულება და გადაჭარბება 41 პროცენტის ოდენობით. (საქინფორმი).

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-კამპუჩიის დოკუმენტებს

5 თებერვალს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-კამპუჩიის დოკუმენტებს.

მოლაპარაკების მთავარი შედეგების ამსახველ საბჭოთა კავშირ-კამპუჩიის განცხადებას ხელს აწერენ:

სსრ კავშირის სახელით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი;

კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის სახელით — კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ჰენგ სამრინი.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ჰენგ სამრინმა ხელი მოაწერეს ოკრეთვე შეთანხმებას 1980 წელს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკისათვის საჭონლის მიწოდების შესახებ.

ხელმოწერილია საბჭოთა კავშირ-კამპუჩიის მთელი რიგი სხვა შეთანხმებანი.

შეთანხმებას კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ ხელს აწერენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ეროვნული თავდაცვის მინისტრი, სახალხო-რევოლუციური არმიის მთავარსარდალი ჰენ სოვანი;

შეთანხმებას ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი და ჰენ სოვანი.

საკავშირო შეთანხმებას — სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი და კამპუჩიის საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრი ტანგ სარიმი;

შეთანხმებას სახალხო-სამეურნეო ობიექტების აღდგენასა და სამუშაოთა მოწყობაში კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკისათვის უპირველესი ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების გაწევის შესახებ — საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკეჩკოვი და ტანგ სარიმი.

დოკუმენტების ხელმოწერას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ა. პ. კირილენკო, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი, მ. ს. გორბაჩოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, კ. ვ. რუსაკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი;

კამპუჩიის მხრივ — კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ხუნ სენი, ინფორმაციის, ბეჭდვითი სიტყვისა და კულტურის მინისტრი ციო ჩანდა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ნუ ბენგი, კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სახალხო განათლების მინისტრი ჩან ვენი, კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური არმიის ზურგის უფროსი დი ფხინი, კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ციო პრასატი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდისი).

სურათზე: საბჭოთა კავშირ-კამპუჩიის დოკუმენტების ხელმოწერის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

საბჭოთა კავშირ-კამპუჩიის მეგობრობის მიტინგი

მოსკოვი ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივი 5 თებერვალს გულოდადად, ძმურად შეხვდა კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტისა და სახალხო-რევოლუციური საბჭოს დელეგაციას, კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის ჰენგ სამრინის მეთაურობით.

კამპუჩიელ ამხანაგებთან ერთად ქარხანაში მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე პ. ნ. გილაშვილი.

ქარხნის მშრომელთა სახელით საპატიო კამპუჩიელ სტუმრებს მხურვალედ მიესალმა საწარმოს პარტკომის მდივანი ვ. თ. ბაბაკინი.

მიტინგზე გამოვიდნენ ამწყობი ზეინკალი ი. მ. შოვაევი, მოტორისტი მკერავი ლ. ვ. კუჩკოვა. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პროლეტარიული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპების ერთგული საბჭოთა ადამიანები ძმურ სოლიდარობას უცხადებენ კამპუჩიელ ხალხს.

კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ეროვნული თავდაცვის მინისტრმა და სახალხო-რევოლუციური არმიის მთავარსარდალმა ჰენ სოვანმა დელეგაციის სახელით მიტინგის მონაწილეებს, მთელ საბჭოთა ხალხს დიდი წარმატებები უსურვა სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა გადაწყვეტაში.

მიტინგი გადაიქცა საბჭოთა და კამპუჩიელი ხალხების ძმური მეგობრობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის გამტკიცების, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ორი ქვეყნის ინტერესების ერთიანობის მკაფიო დემონსტრაციად.

(საკდისი).

კამპუჩიელი სტუმრები

სსრ კავშირ-კამპუჩიის მეგობრობის საზოგადოება დიდ მუშაობას ეწევა, რათა განავითაროს მეგობრობა და ურთიერთგაგება საბჭოთა კავშირსა და კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრიობას შორის. 6 თებერვალს მისი აქტივისტები მოსკოვში შეხვდნენ კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტისა და სახალხო-რევოლუციური საბჭოს დელეგაციას.

შეხვედრაზე ჰენგ სამრინმა სიტყვა წარმოთქვა.

კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხუნ სენმა პრესკონფერენცია გაუმართა საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებს. (საკდისი).

1980
24
თებერვალი
საბჭოების
არჩევნების
დღეა

პარტიის გეგმები ხალხის გეგმებია

ამომრჩევლების შეხვედრა ჯ. ი. პატიაშვილთან

ქარელი რაიონის კულტურის სახლში გაიმართა ქარელის რაიონის № 124 ეროვნული საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილთან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. რ. კილასონიამ.

დამსწრეთა მქუხარე ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ჩოლიბუტოროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — ეროვნული საშუალო სკოლის დირექტორმა ო. ი. კაბულაშვილმა დამსწრეთ მოუთხრო ჯ. პატიაშვილის ცხოვრების გზისა და შრომითი საქმიანობის, პარტიისა და ხალხის საქმისადმი მისი ერთგულების, იმ წვლილის შესახებ, რომელიც მას შეაქვს საქართველოს კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მიღწეულ წარმატებებში მშვიდობიანი აღმშენებლობის ყველა უბანზე. მან ოლქის ყველა ამომრჩეველს მოუწოდა არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ეროვნული მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. ი. რაზმაძე, სოფელ ზღუდერის კოლმეურნეობის წევრი შ. ნ. ქერეხსაშვილი, ეროვნული მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ბ. ს. გელუტაშვილი, გვერძნეთის რვაწლიანი სკოლის პედაგოგი ზ. ი. ჩინჩალაძე, ახალსოფლის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ა. წვერიანაშვილი.

სიტყვა ეძლევა დეპუტატობის კანდიდატს—საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ჯ. ი. პატიაშვილს.

ამხ. პატიაშვილმა გულითადი მადლობა გადაუხადა ოლქის ამომრჩევლებს დიდი ნდობისათვის, რომელიც მას გაუწიეს, როცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

თქვენი ნდობა, თქვა დეპუტატობის კანდიდატმა, მიმაჩნია საბჭოთა ადამიანის, კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, თანამედროვეობის გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელის, მშვიდობის დაუცხრომელი მებრძოლის — საბჭოთა ადამიანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარშემო საბჭოთა ხალხის მტკიცე შეკავშირების, მონოლითური ერთიანობის კიდევ ერთ დადასტურებად.

ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება პარტიისა და ხალხის მონოლითურ ერთიანობაშია. მათს ადამიანურში ისახება საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ჩვენი პარტია მტკიცედ და გადაუხრელად ახორციელებს მშვიდობიან საერთაშორისო პოლიტიკას, საიმედოდ უზრუნველყოფს ჩვენი წმიდათაწმიდა სახელმწიფო საზღვრების უშიშროებას. მაგრამ იმპერიალისტები — მშვიდობისა და სოციალიზმის, განაიარაღებისა და სტაბილურობის მტრები ცდილობენ ავლენ აგრესიულობა იარაღი და ცივი ომის მორეკვაში ჩაითრიონ მსოფლიო.

ასეთ პირობებში საბჭოთა ხალხმა, მთელი მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებრიობამ იმედიანად აღიქვა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დადასტურებული საბჭოთა ადამიანის მტკიცე გადაწყვეტილება — ყველაფერ გაატაროს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკა, განაგრძოს უკანასკნელ წლებში დაწყებული მოლაპარაკება გამალებული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

ეს პოლიტიკა მშვიდობის პოლიტიკაა და სავსებით გამოხატავს ჩვენი ხალხის, ყველა პატიოსანი ადამიანის მისწრაფებებსა და გულისთქმას. ამიტომ მომავალიც ამ პოლიტიკას ეკუთვნის.

ახლანდელი საარჩევნო კამპანია, თქვა შემდეგ ამხ. პატიაშვილმა, მიმდინარეობს იმ ვითარებაში, როცა საბჭოთა ხალხმა წარმატებით დაამთავრა მეათე ხუთწლედის მეოთხე წელი, რომელიც ბევრი რამით იყო ღირსშესანიშნავი ჩვენი ქვეყნისათვის, დიდი მიღწევებია მოპოვებული სახალხო მეურნეობის განვითარების, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების, ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საქმეში.

ჩვენი ნაყოფიერი იყო ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისთვისაც. მათი დაუღალავი გარჯის შედეგად მთელ რიგ დარგებში დაძლეულ იქნა ბუნების ჭირვეულობანი და მოპოვებულია დიდი გამარჯვებები. კიდევ უფრო განმტკიცდა რესპუბლიკის ეკონომიკა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაიზარდა მასების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა, ფართო გაქანება ებმა. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებმა, „საქმთავარმელიორაციამ“ აუცილებლად უნდა გაანიხილონ და დადებითად გადაწყვიტონ აღნიშნული საკითხი.

შემდეგ ორატორი შეეხო საზოგადოებრივ მეურნეობებში ხილის დაცვის მდგომარეობას და აღნიშნა, რომ ეს საკითხი პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა, ყველა მშრომელმა ერთად უნდა გადაწყვიტონ. ამ მხრივ საჭიროა კიდევ უფრო გააძლიერონ მეთვალყურეობა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, ვინაიდან წვრილმანი ქურდობისა თუ ორგანიზებული დატაცების გამო საზოგადოებრივი მეურნეობები დიდძალ ხილს კარგავენ. შარშან რაიონში გამოვლინდა ხილის დატაცების არაერთი ფაქტი. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ცხოვრებას მხოლოდ ქურდობით და საზოგადოებრივი ქონების დატაცების გზით ანარებენ. კომუნისტებმა, სახალხო დეპუტატებმა, კოლეგიურლებმა, მშრომელთა ფართო მასებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ შექმნან ქურდობისა და საზოგადოებრივი დოვლათის დატაცების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ატმოსფერო, შექმნან საამისოდ საჭირო მტკიცე საზოგადოებრივი აზრი.

ქარელის რაიონში შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის საქმეოდ მდიდარი გამოცდილება აქვთ. მიუხედავად ამისა ბოლო ორი წლის მანძილზე რაიონმა ვერ შეასრულა შაქრის ჭარხლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. მარტო შარშან გეგმას ექვსი ათას ტონაზე მეტი ნედლეული დააკლდა.

მეტ ყურადღებას მოითხოვს ბოსტნეულის და ყურძნის წარმოების მოცულობის გადიდების საქმე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ ითვალისწინებს სხვა დარგებთან ერთად რესპუბლიკაში მეხილეობის ფართო განვითარებას, ხარისხოვანი ხილის წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას. ამ მხრივ ბევრი რა ამინდის არახელსაყრელ პირობებს მაღალი პასუხისმგებლობა და ორგანიზებულობა, უზრუნველყვეს სახელმწიფოსათვის პროდუქციის მეიყიდვის გეგმა-დავალების დიდი გადაჭარბებით შესრულება. რესპუბლიკის ისტორიაში პირველად დამზადდა და სახელმწიფოს მიეყიდა 453 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მოწეულია ციტრუსისა და ყურძნის სარეკორდო მოსავალი, სახელმწიფოს მიეყიდა 263 ათას ტონაზე მეტი ციტრუსი, 577 ათასი ტონა ყურძენი. გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმები. ამ დიდ შრომითს გამარჯვებას მეტი შინაარსი და ხალისი შემატა იმ მაღალმა შეფასებამ, რომელიც რესპუბლიკის, მოწამთქმედთა საქმიანობას მისცა თავის გულთბილი მასსალმებელი წერილში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს ქარელის რაიონის მშრომელთა წარმატებებზე 1979 წელს. მათ ეს წარმატებები მოიპოვეს როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის, ტრანსპორტის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სოფლის მეურნეობის მშრომელთა საქმიანობა. წარმატებით დაამთავრეს გასული სამეურნეო წელი რაიონის მეხილეებმა — ნაცვლად 43 ათასი ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 43119 ტონა ხილი. ასეთი დიდი მოსავალი რაიონში პირველად მოიწიე. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოჩინეს თავი კეხიჯრის, ბებნისის, მოხისის, ურბნისის, დედოფლის, ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობებმა, ზღუდერის, ქარელის და აბისის კოლმეურნეობებმა.

კარგად იშრომეს რაიონის მემინდვრეებმა, რომლებმაც სახელმწიფოს მიჰყიდეს 5.924 ტონა მარცვლეული—გეგმაზე 624 ტონით მეტი. 102 პროცენტით შესრულდა ბოსტნეულის დამზადების გეგმა-დავალება.

რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის და კვერცხის მიყიდვის როგორც გეგმები, ისე ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები. ასევე სასოფლო-სამეურნეო წარმოების თითქმის ყველა დარგში მიღწეულია დამზადებული პროდუქციის მოცულობის მნიშვნელოვანი მატება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ამასთან ერთად ამხ. პატიაშვილი განსაკუთრებით შეეხო რაიონის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს და აღნიშნა, რომ რაიონში ჯერ კიდევ ბევრია კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, აგროგანყოფილება, ბრიგადა, ფერმა, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან მოწამთქმედების და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების და დამზადების საქმეში. აღნიშნულ რგოლებში დაბალი აგროტექნიკური და ზოოტექნიკური დონის გამო ხილის, შაქრის ჭარხლის, მარცვლეულის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების შეიწყნარებლად დაბალ მოსავალს იღებენ. ასევე დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა. რაციონალურად არ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, მინერალურ სასუქებს, შხამქიმიკატებს და სხვა საშუალებებს, თვით მიწასაც. სწორედ ამის შედეგია, რომ რაიონის მეურნეობათა ერთი ნაწილი ვერ ასრულებს ვერც მემცენარეობის და ვერც მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების და სახელმწიფო შესყიდვის გეგმებს და ეს მაშინ, როცა დიდია გამოუყენებელი რეზერვები, რომელთა ამოქმედება და რაციონალური გამოყენება მნიშვნელოვანი რაოდენობის დამატებითს პროდუქციას მოგვცემდა.

მაგალითად, მეხილეობაში, მიუხედავად მთლიანად გეგმის შესრულებისა, რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ვერ გაანაღდეს ვერც ხილის წარმოების და ვერც სახელმწიფოსათვის მისი მიყიდვის გეგმები.

აქ არის მეურნეობები, მათი ეკალკული ქვეგანყოფილები, სადაც ხილის ჰექტარობრივი მოსავლიანობა 20_30 ცენტნერს არ აღემატება. მეხილეობის ისეთ კლასიკურ რაიონში კი, როგორიც ქარელის რაიონია, ასეთი დაბალი მოსავლის მიღება ყოვლად შეუწყნარებელია. ხშირად ირღვევა ხეხილის მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნიკით გათვალისწინებული ვადები და წესები, რაც უხარისხო და დაბალი ხარისხის ხილის მიღების მთავარი მიზეზებია. ძალზე მაღალია საერთო პროდუქციაში მესამე ხარისხის ხილის ხვედრითი წილი. შარშან ამ მაჩვენებელმა რაიონში საშუალოდ 48,8 პროცენტი შეადგინა. სამწუხაროა, რომ ეს საკითხები, ამბობს ორატორი, ჯერ კიდევ არ გამხდარა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების პრინციპული მსჯელობის საგანი.

სერიოზული მუშაობა გვმართებს გადამმუშავებელ საწარმოთა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, არსებულ სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენების და მათი შემდგომი გაფართოებისათვის. ამ მხრივ რაიონში ბევრი რა არის გასაკეთებელი. არ უნდა დაგვავიწყდეს გასული წლის მწარე გაკვეთილი, როცა სიმძლავრეთა ნაკლებობის, ხშირ შემთხვევაში კი მათი სრული დაუსრულებლობის გამო ეროიოზული შეფერხებანი იყო ნედლეულის მიღება-გადამუშავების დროს. ამ მიზეზით დიდძალი ხილი დაიკარგა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლო პერსპექტივაში მალხაზის წვერისა და დედოფლის მეხილეობის აგროსამრეწველო კომპლექსის ამოქმედების შედეგად რაიონში ხილის წარმოება ორსამჯერ გაიზრდება, აქვილი გასაგები გახდება, რომ მომავალში ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დადგება. რაიონის ხელმძღვანელობამ შესაბამის რესპუბლიკურ უწყებებთან ერთად ამთავითვე უნდა იზრუნოს შესაბამისი ტვინდობებითა და სხვა საშუალებებით საწარმოთა უზრუნველყოფისათვის. ამასთან საჭიროა სამრეწველო საწარმოებში ფართოდ დანერგოთ მექანიზაცია და ავტომატიზაცია, თანდათან გამოვდევნოთ პრიმიტიული ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც ხელს შრომის დიდ დანახარჯებს მოითხოვს.

ქარელის რაიონში ხილის წარმოების შემდგომი გადიდების ძალზე დიდი რეზერვებია. მარტო მალხაზის წვერზე ხილის წარმოებამ 40 ათას ტონას უნდა მიაღწიოს.

ამ მასივზე ბაღების გაშენების დასასრული პროგრამა ცუდად სრულდება. ნაცვლად 500 ჰექტარისა, შარშან გაშენდა მხოლოდ 170 ჰექტარი ბაღი. შეფერხებებია სამელიორაციო სისტემის შენებლობის და ფართობების გასარწყვეტის საქმეში. სწორედ ეს გახდა ბაღების გაშენების გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი. მიმდინარე ხუთწლედში მალხაზის წვერზე სულ უნდა გაშენდეს 1500 ჰექტარი ნარგავები. ეს დავალება აუცილებლად უნდა შესრულდეს. ამასთან ერთად უზრუნველყოფილ ყველა საინჟინრო-სამელიორაციო თუ აგროტექნიკური ღონისძიების ხარისხიანი შესრულება. ამ საქმეში წვრილმანი ხარვეზებიც კი არ უნდა დაეშვათ.

ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ მალხაზის წვერის მეხილეობის აგროსამრეწველო კომპლექსში ადმინისტრაციული, საყოფაცხოვრებო, სამეურნეო, გადამმუშავებელი საწარმოებისა და სხვა დანიშნულების ობიექტების დროული მშენებლობისათვის ეს უნდა იყოს თანამედროვე ტიპის, სამრეწველო საფუძველზე შექმნილი სასოფლო-სამეურნეო საწარმო და ამ საკითხზე ყოველდღიური ზრუნვა რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა თავიანთ უპირველეს ამოცანად უნდა მიიჩნიონ.

დღემდე ვერ გადაწყდა დედოფლის მინდვრების გასარწყვეტების საკითხი, რომლის ბაზაზეც გათვალისწინებულია აგროსამრეწველო კომპლექსის ჩამოყალიბება. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებმა, „საქმთავარმელიორაციამ“ აუცილებლად უნდა გაანიხილონ და დადებითად გადაწყვიტონ აღნიშნული საკითხი.

შემდეგ ორატორი შეეხო საზოგადოებრივ მეურნეობებში ხილის დაცვის მდგომარეობას და აღნიშნა, რომ ეს საკითხი პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა, ყველა მშრომელმა ერთად უნდა გადაწყვიტონ. ამ მხრივ საჭიროა კიდევ უფრო გააძლიერონ მეთვალყურეობა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, ვინაიდან წვრილმანი ქურდობისა თუ ორგანიზებული დატაცების გამო საზოგადოებრივი მეურნეობები დიდძალ ხილს კარგავენ. შარშან რაიონში გამოვლინდა ხილის დატაცების არაერთი ფაქტი. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ცხოვრებას მხოლოდ ქურდობით და საზოგადოებრივი ქონების დატაცების გზით ანარებენ. კომუნისტებმა, სახალხო დეპუტატებმა, კოლეგიურლებმა, მშრომელთა ფართო მასებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ შექმნან ქურდობისა და საზოგადოებრივი დოვლათის დატაცების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ატმოსფერო, შექმნან საამისოდ საჭირო მტკიცე საზოგადოებრივი აზრი.

ქარელის რაიონში შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის საქმეოდ მდიდარი გამოცდილება აქვთ. მიუხედავად ამისა ბოლო ორი წლის მანძილზე რაიონმა ვერ შეასრულა შაქრის ჭარხლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. მარტო შარშან გეგმას ექვსი ათას ტონაზე მეტი ნედლეული დააკლდა.

მეტ ყურადღებას მოითხოვს ბოსტნეულის და ყურძნის წარმოების მოცულობის გადიდების საქმე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ ითვალისწინებს სხვა დარგებთან ერთად რესპუბლიკაში მეხილეობის ფართო განვითარებას, ხარისხოვანი ხილის წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას. აქედან გამომდინარე მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის დიდი მუშაობა მართებთ რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, სპეციალისტებს, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს.

1979 წელი კარგი მაჩვენებლებით დამამთავრეს რაიონის მეცხოველეებმა. საზოგადოებრივ მეურნეობებში არსებული მდგომარეობა ჯერ კიდევ სრულად ვერ უპასუხებს საფიციონო მოთხოვნებს. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ერთ ნაწილში კვლავ დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა, ნელი ტემპით მიმდინარეობს ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, ჯოგში დაბალია ფურების ხვედრითი წილი. მართალია, ჩაბარებული პირუტყვის საშუალო წონა 1978 წელთან შედარებით 10 კილოგრამით გაიზარდა, მაგრამ ეს მაჩვენებელი რაიონში კვლავ დაბალია და 232 კილოგრამს არ აღემატება. ეს ციფრიც ნათლად მიუთითებს იმაზე, თუ ხორცის წარმოების გადიდების რა მნიშვნელოვანი რეზერვი აკარგია რაიონში მარტო დაბალი წონის პირუტყვის ჩაბარების შედეგად.

კვლავ დაბალია პირუტყვის წველადობა. რაიონის მეურნეობებში კი ყველა პირობა აქვთ, რომ მოკლე დროში რაიონმა გადალახოს საშუალო წველადობის ორი ათას კილოგრამიანი ზღვარი.

სულ ერთი თვე გავიდა, რაც დაიწყო ხუთწლედის დამამთავრებელი წელი. დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს გადაწყვეტენ რესპუბლიკის მშრომელები ამ წელს. იგი არა მარტო მიმდინარე ხუთწლედს ამთავრებს, აღნიშნავ ამხ. პატიაშვილმა, არამედ ის ბაზაც, რომელსაც მომდევნო ხუთწლედი დაეფუძნება. ეს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთვის საიუბილეო წელიც არის და სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადების დაძაბული პერიოდიც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1980 წელი ბევრი „თვალსაზრისით უჩვეულო და მრავალი ღირსშესანიშნავი მოვლენით აღსავსე იქნება. ეს იქნება თითოეული ჩვენგანისათვის უაღრესად პასუხსაგები წელი. ეჭვი არ გეპარება, რომ ქარელის რაიონის მშრომელები, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები აქტიურად გამოვიმაურებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომართვას რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი და უზრუნველყოფენ როგორც მიმდინარე წლის, ისე მთლიანად ხუთწლედის სახელმწიფო გეგმების და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას.

დასასრულ ამხ. პატიაშვილმა კვლავ მადლობა გადაუხადა № 124 ეროვნული ყველა ამომრჩეველს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატაც მისი დასახელების გამო და აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს მათი დიდი ნდობის გასამართლებლად.

(საქინფორმი).

უსაუცესი აგიტატორი

ოჩამჩირე. „მარიამ ადლიბას გამრჯე ხელით ნახევარი საუკუნის მანძილზე მოკრეფილი სორნელოვანი დუკანისგან დამზადებული ჩიქა ჩაით შეიძლება ერთ დღეში ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა მცხოვრებს გაუმასპინძლდე“ — პლაკატს ასეთი წარწერით ნახავთ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ვადის სუვოროვის სახელობის კოლმეურნეობის ამომრჩეველთა კლუბში.

- ეი ოცი 50 წელია, რაც წარჩინებული მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი მარიამ ადლიბა საკოლმეურნეო პლანტაციებში მუშაობს და ამდენივე ხანია იგი აგიტატორია.

ნახევარი საუკუნის წინ, როცა ოდესაში კოლმეურნეობა იქმნებოდა, ჩაის პირველ პლანტაციებს აშენებდნენ. მარიამ ადლიბა სოფლის კომკავშირელების მოთავე და აგიტატორი იყო. ჩვენს ქვეყანაში გამართული პირველი არჩევნები მან რეკორდული მოსავლით აღნიშნა— მოკრიფა 16 ტონა „მწვანე ოქრო“.

(საქინფორმი).

მესამე წელია, რაც კომკავშირელმა ნინო მურადოვამ ქარელის მესამე საშუალო სკოლა დაამთავრა და მაშინვე ი. ბ. ტალანინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმას მიაშურა. მან 12 ფური გაიპიროვნა. შარშან 14 ტონისა და 300 კილოგრამის ნაცვლად 15 ტონა და 310 კილოგრამი რძე ჩამოწველა. წელს ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრა.

სურათზე: ნინო მურადოვა.

ვ. ბენგზიურის ფოტო.

მეცხოველეობას — ჩვენი გულისყური

ქარტიული ცხოვრება: კომუნისტის ზანეობრივი ნორგა

ავს თუ ავი არ ვუწოდო...

როდესაც ჩემთვის ესოდენ მოულოდნელად თბილისის კინოფიკაციის სამმართველოს ხელმძღვანელობა დამაკისრეს, არც მე და არც ჩემს მშობლიურ კოლექტივს — გაერთიანება „ელექტროაპარატს“, რომლის კომუნისტებსაც ვედექი სათავეში ბოლო წლების მანძილზე, ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ ახალ უბანზე სრული წესრიგის დამყარება არ გამიჭირდებოდა. თუმცაღა ვიცოდით, რომ ეს არც ისე იოლი იყო. ის, თუ რატომ არის ჩვენი ცხოვრების აძ უბანზე მტკიცე კომუნისტური წესრიგის დამყარება უაღრესად ძნელი, სამწუხაროდ, თითქმის ყველას, ნებისმიერმა მკითხველმა იცის. საქმე ის გახლავთ, რომ აქ ემდენად ღრმად არის ფესვმოკიდებული მანკიერებანი, რომ მასთან ბრძოლა დიდ დროს და ენერგიას მოითხოვს. აქვე აღვნიშნავ, რომ არაფერს დავიშურებ ამ ბრძოლის ბოლომდე მისაყვანად, ჩვენს სფეროში სანიმუშო წესრიგის დასამყარებლად.

მაგრამ სკობს სულ თავიდან დავიწყოთ: ალბათ ძნელია იპოვოთ ჩვენს დედაქალაქში კინოთეატრი, სადაც არ იქნება გამოკრული პლაკატი დიდი ლენინის სიტყვებით, რომელთა ჭეშმარიტებაზე დღეს არავინ დაკამს, — კინო იყო და კვლავაც რჩება ადამიანთა აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად. აქედან გამომდინარე, კინოთეატრი ის ადგილია, სადაც ადამიანს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს აღზრდის ამ საშუალებით. აქ ყველა და ყველაფერი — შესასვლელიდან მაყურებელთა დარბაზამდე, მოსამსახურე პერსონალი — დამლაგებლიდან დირექტორამდე მხოლოდ ერთ საერთო მიზანს უნდა ემსახურებოდეს: შეუქმნან მაყურებელს მაქსიმალური პირობები, რათა მან ნორმალურად აღიქვას და გაიაზროს კინოსურათი. სამწუხაროდ, ჩვენი კინოთეატრები ყოველთვის როდი ახერხებენ ამას, რისთვისაც ხშირად და სამართლიანად გვაკრიტიკებენ პრესაში, ტელევიზიითა თუ რადიოთი.

ახლა ნაწილობრივ ვუბრუნდები იმას, რითაც დავიწყე: სანამ ამ სისტემაში მოვიდოდი სამუშაოდ, ვფიქრობდი, რომ კინოთეატრების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ მის ხელმძღვანელებთან სათანადო დონეზე არ მუშაობდნენ. აქ საზრუნავის აღფა და ომეგა ალბათ ეგეგმების შესრულება იყო. სწორედ ამიტომ მოსვლისთანავე საჭიროდ ვცანით კინოთეატრების დირექტორების იდეური დონის ამაღლებაზე ზრუნვა. სემინარები, შეხვედრები, საუბრები, თათბირები — ამგვარი ღონისძიებებით შევეცადეთ სწორად განგვემარტა მათთვის თავიანთი მოვალეობის საკმაოდ რთული ასპექტი.

კინოთეატრებში სიახლეებიც დავნერგეთ — მოვაწყეთ თემატური კინოლექტორიუმები, კინოვიქტორინები, მაყურებელთა კონფერენციები, დათვალიერება-კონკურსები საუკეთესო კინოთეატრის გამოსავლენებლად, კინომექანიკოსთა შეკრებები, პარტიული ორგანიზაციის მდივნების სემინარები და სხვ.

როდესაც სამმართველო აღნიშნულ ღონისძიებებს აწყობდა, მიზნად ვისახავდით, ვფიქრობდით, რომ მომავალში კინოთეატრები საკუთარი ინიციატივით განახორციელებდნენ მსგავს ღონისძიებებს. მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე ბევრს არ დაბადებია საამისო სურვილი. უფრო მეტიც — ჩვენი კინოთეატრების დირექტორთა უმრავლესობას იმის უნარიც კი არ შესწევს, რომ ღონისძიებების მოწყობა მოიფიქროს, პროგრამა შეადგინოს, საღამო გახსნას, მაყურებელს აუხსნას ამა თუ იმ ფილმის აქტუალობა და სხვ.

თუ ვისმე ჰგონია, რომ ადამიანთა უმეტესობა ჩვენს სისტემაში პროფესიის, საქმის სიყვარულს მოპყრობს, ძირშივე შემცდარია. ამის დასტურად კინოთეატრების დირექტორების თუ ადმინისტრატორების პირადი საქმეები გამოდგება — რა პროფესიის თუ ხელობის ხალხს არ შეხვდებით აქ — პიროვნებებს, რომელთაც უმუშავიათ ადრე სათამაშოების ფაბრიკაში წულმდებლად. ხილობისტანავაჭრობაში მაღაზიის გამგედ, სახლმმართველობაში და სხვ.

ნურც იმას იფიქრებს ვინმე, რომ საკუთარ სისტემაში არსებულ ხარვეზებზე იოლი იყოს ლაპარაკი. წარმოუდგენელია დიდი გულისტკივილის გარეშე საკუთარ ნაკლზე საუბარი, მაგრამ სხვა გზა რომ არ არის! გაჩუმებაც რომ აღარ შეიძლება! დუმილი ხომ სწორედ მათ წისქვილზე ასხამს წყალს, ვინც ასე ურცხვად აფათურებს ხელს სახელმწიფოს თუ ხალხის ჯიბეში. ესეც რომ არა, დიდი დავით გურამიშვილის არ იყოს, „ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგს სახელად რა დავარქმ!“.

როგორ არ უნდა თქვა აუგი კაცის საქციელზე, რომელსაც სამსახური მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის უნდა, რომ რაც შეიძლება მეტს გამორჩეს, მეტად გაისქელოს საკუთარი ჯიბე. ამგვარ შესაშურ „მადას“ „შეეწირა“ კიდეც კინოთეატრ „საქართველოს“ ყოფილი ხელმძღვანელობა.

თუ რომელიმე მათგანის პატიოსნებაში ექვს შეიტან, მზად არის „ხატზე დაიფიცოს“ იმის დასამტკიცებლად, რომ ცამდე მართალი კაცია, უმწიკვლო მუშაკია. მზად ვარ ფიცს დავუჯერო, მაგრამ კუდი? კუდი კი ის არის ამ შემთხვევაში, რომ რომელიმე მათგანს უფრო მეტი ხელფასიანი სამუშაო რომ შესთავაზო, არ დათანხმდება, ხოლო თუ ვინმე სამსახურიდან მოიხსნა, ურჩევნია თვეები კი არა, წლები იაროს უმუშევრად იმ პირობით, რომ ბოლოს ძველ ადგილზე აღადგინონ.

ზოგნი, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობენ ერთ დარგში, საოცრად ხვეწენ თავიანთ ოსტატობას, ოღონდ არა პროფესიულს... კინოთეატრ „მეგობრობაში“, მაგალითად, უჩიოვან მაყურებლის მუდმივ ნაკლებობას და ამით გეგმის შესრულებისათვის პასუხისმგებლობას თავიდან იცილებენ. შემოწმებით კი სულ სხვაგვარი ფაქტი დადასტურდა — ერთ დღეს კინოფილმზე 4-5 სეანსიდან შემოსავალი 86 მანეთი აჩვენეს, მაშინ როდესაც ამ თანხის ბილეთები მხოლოდ ერთ სეანსზე გაიყიდა. საყურადღებოა, რომ აქ დირექტორის მოადგილედ სამმართველოს ყოფილი ინსპექტორი ანზორ ჩხაიძე მუშაობს. პირადუნება, რომელსაც თავად ევალებოდა სისტემაში წესრიგის დასამყარებლად ბრძოლა, თუმცაღა მის მიერ გამოვლენილი დარღვევა არავის ახსოვს.

არც ის არის დასამალი, რომ კინოთეატრების დირექტორებს და მათ მოადგილეებს სხვა თანამშრომლებიც ბაძავენ. ერთი სიტყვით, „ხელმა ხელი დაბანას,“ დეეიზი შესანიშნავად მოქმედებს.

აქვე მინდა შევეხო ერთ პრობლემას, რომელიც მეტისმეტად გვიშლის ხელს მუშაობაში; ბოლო წლებში დაუწყიდელი ბრძოლა მიმდინარეობს პროტექციონიზმის წინააღმდეგ. ჩვენს სისტემაში კი მაინცდამაინც თვალსაჩინო არ არის ამ ბრძოლის შედეგი. პირიქით — სენი საკმაოდ სოლიდურად არის ფესვგადგმული. ნაკლოვანებაზე მითითება მომავალში მოსალოდნელი უფრო მეტი უსამოვნების საწინდრად აღიქმება ხოლმე და იწყება ტელეფონით რეკვა, შუამავლების ძებნა.

ჩემს მიერ ჩამოთვ

საერთაშორისო ცხოვრება
დღეიმწის ჭურჭეზე

გვეკუოობინებენ საკდესისა და ანალი ამბების საკგენტოს კორესპონდენტები

...ექტიანობისა ...ა ...ისის ...ურსი

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კლენუმზე

...ბაკო (საკდესის კორ.). რესპუ...ის შრომითი კოლექტივები ...ნდაგვან შემდგომშიც ეამაღ...ენ შრომის ეფექტიანობა წარ...ებაში მიცნიერების და ტექნი...ის მიღწევათა დაჩქარებული და...ერგების, დაგეგმვის გაუმჯობესე...ათვის, სრულყონ სოციალ...ისტური მეურნეობრიობის მეთ...ოსისტემა. ამის შესახებ ილაპა...ეს აზერბაიჯანის კომპარტიის ...ენტრალური კომიტეტის პლენუმ...ზე, რომელშაც განხილა სამეურ...ნეო მექანიზმის შემდგომი სრულ...ყოფის შესახებ სკკპ ცენტრალური ...ომიტეტისა და სსრ კავშირის მი...ისტრთა საბჭოს დადგენილებათა ...ასრულების ამოცანები. მოხსენე...ა გაკეთა რესპუბლიკის მინისტ...ა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ი. ...ალიევმა.

...ზერბაიჯანის მშრომელებმა მი...ნის ეკონომიკის შემდგომ დი...ეფერენციერებასა და სტანდარტებს. მაგალითად, შარშან სამ...ეწლო წარმოების მოცულობა ...ზარდა 8,7 პროცენტით გეგმით ...ეალისწინებული 7,8 პროცენ...ის ნაცვლად. გაუმჯობესდა შრო...ის ხარისხობრივი მაჩვენებლები, ...ზარდა მისი ნაყოფიერება. ხუ...ლოდის დამუშავებიდან სოფლის ...ურნეობის მთლიანი პროდუქციი...ს სამეულოო წლიური მოცულობა ...ეზარდა 8,7 პროცენტით. ეგეგმით ...ეალისწინებული 7,8 პროცენ...ის ნაცვლად. ე

დიდი ქალაქის პროგლემები

ესეც თუ წყალ-მომარაგებაა!..

ნეგიზმიერი დასახლებული პუნქტის კომუნალურ მეურნეობას საკუთარი თავისებურებანი აქვს. მაგ. მილიონიან ქალაქზე რაოა უნდა თქვა? მით უმეტეს, მთაგორიანი რელიეფისა და სხვა თავისებური პირობების გამო მშენებლობისათვის ისეთ რთულ ქალაქზე, როგორიც თბილისია.

ქალაქისათვის უიმისოდაც არ არის იოლი თავისი კომუნალური პრობლემების გადაწყვეტა, ამ გარკვეული ხნის წინათ კი მისი მშენებლობა და კეთილმოწყობა შეუწყნარებლად მიზეზული იყო, თანაც აშკარად ქალაქის ხელისუფალთა თვითკმაყოფილების გამო, რომელებიც ქალაქის თითქოს ურყევად მაღალმა რეპუტაციამ ქალაქმაშენებლობამ თავქარაძეობა, მანკიერებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება, ნაკლოვანებებისათვის თვალის აჩიდება გამოიწვია. ერთი სიტყვით, მდგომარეობა გართულდა.

და მზოლოდ თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის ცნობიერი დადგენილების შემდეგ და მის საფუძველზე ქალაქში პარტიული ორგანიზაციის მეთაურობით დაიწყო დაშვებული ჩამორჩენის ენერგიული დაძლევა, საყოველთაოსახალხო ბრძოლა გაჩაღდა კვერცხეულობისა, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის ფორმებს, შეთოდებსა და სტილს? უწინარეს ყოვლისა, კერძოდ ანგარიშგება და ნაკლოვანებათა საკარო კრიტიკა, ქალაქის პერსპექტიული განვითარების მოხაზვა.

მაგრამ მაშინ რატომ არ გავრცელდა ეს პრაქტიკა წყალმომარაგებაზე? წყლის მნიშვნელობა არც ისე დიდია ქალაქის ცხოვრებაში, რომ დიდი ყურადღება დავუთმოთ? ან იქნებ კომუნალური მომსახურების ამ სფეროსადმი მოსახლეობას არავითარი პრეტენზიები არა აქვს, იმდენად კარგად არის ეს საქმე მოგვარებული? მართლაც, რით ავხსნათ თბილისელი ქალაქთმშენებლებისა და მათთან ერთად მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების ესოდენი გულგრილობა ამ საჭირბოროტო პრობლემებისადმი, რომლებიც ათწლეულების მანძილზე ვერა და ვერ გადაწყდა? ალბათ, მთელ ჩვენს ქვეყანაში არ მოინახება ასეთი დიდი ქალაქი, რომ ასე მოუმარაგებელი იყოს წყლით?! ამის შესახებ კი ჩამოჩომი არ ისმის.

რატომ არავინ იღებს ხმას იმის გამო, რომ თბილისის მოსახლეობა წყლის მწვავე ნაკლებობას განიცდის, ეს ხომ ქალაქის კომუნალური სინამდვილის ყოველად შეუწყნარებელი ნეგატიური მოვლენაა? რატომ არის, რომ ყოველთვის ვერ ვიგებთ, თუ რა და როგორ კეთდება ამ საკითხის გადასაწყვეტად, რაც პრობლემატურად ხდის იმის იქით, რომ ოდესმე გადაწყდება ეს საკითხი. რატომ არის, რომ წყალმომარაგების შეფერხების ლიკვიდაცია ქალაქთმშენებელთა მთავარი ამოცანა, ქალაქის კეთილმოწყობის ის გადამწყვეტი უბანი ვერ გახდა, რომელიც სახსრებისა და რესურსების განსაკუთრებულ მობილიზაციას მოითხოვს? და ბოლოს, რატომ არ არის გამჭვირვალეობელი ყურადღება ინფორმაციის შენებლობაზე? მისი ამეშავების შედეგად ხომ თბილისი წელიწადში დამატებით მიიღებს 146 მილიონ კუბურ მეტრ წყალს (ამიდან პირველ რიგში — 73 მილიონს), რის შემდეგაც ქალაქის ყოველი კუთხე შეუფერხებლად მომარაგდება წყლით.

ინფორმაციის წყალს ჯერ კიდევ 1977 წელს მოელოდნენ. ახლა დაწესებულია ელექტროსადარეკის ამუშავების საბოლოო ვადა — 1980 წელი. მაგრამ ძალზე საეჭვოა, რომ მოასწრონ, რადგან ინფორმაციის შენებლობის გარშემო ჯეროვანი ტონუსი ვერ შეიქმნა, როგორც ჩანს, რესპუბლიკის ენერგეტიკულ ბალანსში ამ ჰიდროელექტროსადგურის მკვეთრ ხვედრითი წილის გამო (130 ათასი კილოვატი). და თუ ეს შესრულებული ყურადღება მისაღმი რამდენადმე შეიძლება გამართლდეს ენერგეტიკული კრიტიკულობის თვალსაზრისით, 520 მილიონი კუბურმეტრიანი წყალსაცავის მქონე ამ სადარეკის ფიდი მნიშვნელობა წყლით თბილისის უზრუნველყოფისათვის მას ქალაქის უმნიშვნელოვანეს მშენებლობებს მიაკუთვნებს. დიახ სწორედ წყლის საჭიროება ხდის სრულიად გადაუდებელს მის მშენებლობას, რის გამოც ქალაქის ყველა ორგანიზაციამ და პრესამ შეუნელებელი კონტროლი უნდა გაუწიონ როგორც სამუშაოთა მიმდინარეობას, ისე დამთავრების ვადებს. აი რას უნდა დაუთმოთ მთავარი ყურადღება იმისათვის, რომ დავაჩქაროთ ინფორმაციის სამუშაოები.

რატომ არ ცოდნობა ეს? იმიტომ ხომ არა, რომ უწყლობით ლამის ყოველდღიურად ქალაქი ამავე დროს ერთ სულ მოსახლეზე წყლის მოხმარებით ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. განა ხმა ამოგვიღია?

1978 წელს თბილისმა 367,6 მილიონი კუბური მეტრი წყალი მიიღო. ამიდან 294,3 მილიონი საგურამოს ინფინის (ნატახტარი, ბულაჩაური და სხვ.), 66,5 მილიონი კი თბილისის ზღვის წილად მოდის. საკუთრივ მოსახლეობის მიერ მოხმარებული წყლის სადღეღამისო რაოდენობა, საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე, 1955 წელს შეადგენდა 98 ლიტრს, 1960 წელს — 123, 1965 წელს — 212, 1970 წელს — 287, 1975 წელს — 376, ხოლო 1978 წელს 439 ლიტრამდე გაიზარდა. და ეს ამაში, როცა, „თბილისწყალკანალიზაციის“ გამოანგარიშებით, წყლის ხარჯვის საშუალო ნორმა 211 ლიტრს უნდა შეადგენდეს! მაშასადამე, გამოდის, რომ თბილისელები ნორმაზე ორჯერ მეტ წყალს ხარჯავენ. ეს ციფრები, ნებსით თუ უნებლიეთ, ფარ-ხმალს გაყრევინებენ.

და თუმცა ეს მონაცემები ეჭვს არ იწვევს, ფაქტობრივი სურათი ფრიად უნუგეშოა. განა შესაწყნარებელია, რომ თანამედროვე დიდ ქალაქში დღეების მანძილზე არ მოდიოდეს წყალი, ან დღეში რაღაც ორიოდე საათს მოდიოდეს ხან დღისით და ხან ღამით, ანა „აწვიდიან“ წყალს თბილისს ისეთ ინტრალურ ნაწილშიც კი, როგორიც არის ბულეხანოვის პროსპექტი და მის გარშემო ქუჩები. თანაც ყველგან ყველაზე მეტად ზაარალდებიან, მცირე დაწნევის გამო, მაღლობზე მდგარი სახლები და ზემო სართულები. სამწუხაროდ, საავადმყოფოებიც კი ამ დღეშია. შეფერხებით იღებენ წყალს, მაგალითად, პირველი (ქალაქში ოდიდესი) და მეშვიდე საავადმყოფოები, ონკოლოგიური ცენტრის ზემო სართულები. აბა, წარმოდგინეთ უწყლო საავადმყოფო — უმწეო ავადმყოფები და ჰიგიენური თუ სამკურნალო გართულებანი, ზოგჯერ უწყლობის გამო იძულებული ხდებიან პროცედურები და ქირურგიული ოპერაციებიც კი გადადონ ხოლმე.

ასეთი ამბები აროვეს ოჯახის ყოფას, გუნებას უფიქებს ხალხს და, ზოგჯერ, რაგინდ უკანონიც მოგეჩვენოთ, იწვევს დიდი ოდენობით წყლის დაკარგვას, ფფუჭებს წყალსადენ მილებსა და არმატურას. არ უნდა გამოვეპაროს როდის მოვა წყალი. როგორც კი მოვა, პანიკურად აგროვებენ, ავსებენ ყოველგვარ ჭურჭელს და თვით ამბანებსაც. დაზოგვის მიზნით ოჯახები ნაცლებად ხარჯავენ წყალს ჰიგიენური საჭიროებებისათვის, როგორც კი მოვა წყალი, ძველ მარაგს სპობენ, კანალიზაციაში უშვებენ, ე. ი. მრავალი ათასი კუბური მეტრი სუფთა წყალი ფარგება ყოველდღიურად. და ამ ზედმეტ ხარჯებს უწყლობა იწვევს — ხომ უნდა მოიმარაგო და განაახლო ძველი მარაგი. ყოველივე ამასთან ერთად წყალსადენის მილები პირიოდული გამოშრობის გამო ჟანგდება და ონკანებთან და სხვა არმატურასთან ერთად სწრაფად გამოდის მწყობრიდან. აი რამდენ ბოროტებას იწვევს წყლის ნაკლებობა, ამიტომ ამ საკითხზე დუმილი დანაშაულია!

რით უნდა აიხსნას რომ წყალი ასე ბევრია და წყალი ასე არ ჰყოფნის ქალაქს?

„თბილისწყალკანალიზაციის“ (უფროსი — ამხ. ვ. მუმლაძე, მთავარი ინჟინერი — ამხ. ვ. ბახტაძე) ხელმძღვანელებისათვის ხელსაყრელია ყველაფერი წყლის მასობრივ გაფლვას დაბრალონ ონკანების, ვენტილების, უნიტაზის ავზებისა და სხვა უწესრიგობათა გამო. ამ მიზეზთან, მართლაც, ბევრი წყალი იკარგება. და დიდი ხანია დადგა დრო, რომ საქალაქო აღმასკომმა ენერგიულად მოჭიდოს ხელი წყალსადენის არმატურის მოწესრიგებას. ამასთანავე ისიც მართალია, რომ სადაც წყალი არ არის, ვერსად გაფლვავ, რაგინდ უწესიერიც უნდა იყოს ონკანი. მაშ რატომ არის, რომ ქალაქის ბევრ უბანში დღეში თითო-ოროლა საათს თუ მოდის წყალი?

უწინარეს ყოვლისა, ყურადღება მიაქციეთ, თუ როგორ ანაწილებს მას „თბილისწყალკანალიზაცია“. თუ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საშუალოდ თბილისელი დღეში 439 ლიტრ წყალს ხარჯავს, ვთქვათ, ოქტომბრის რაიონის მცხოვრებზე მხოლოდ 216,5 ლიტრი მოდის, ე. ი. ორჯერ ნაკლები, ვიდრე ორჯონიძის რაიონში (434,5 ლიტრი), 2,5-ჯერ ნაკლები, ვიდრე ლენინისა (526,3) და ლენინის (549) რაიონებში. 3,4-ჯერ ნაკლები, ვიდრე პირველი მაისის რაიონში (715,3). წყალს ადმაშფოთებლად უთანაბროდ ანაწილებენ ქალაქის ცალკეულ ნაწილებს. ოქტომბრის რაიონთან ერთად ვერის მდგომარეობაში არიან 26 კომბინატი (301,4), ეკონომიკა (340) და საქარხნო (355,6) რაიონები. ეს აიხსნება როგორც წყალსადენი მაგისტრალების ნაკლოვანებებით, ისე „თბილისწყალკანალიზაციის“ მუშაკთა არაჯანსაღი პოლიტიკით, რომლებიც შეგნებულად აკავებენ წყალს ერთ რაიონს სხვა რაიონის სასარგებლოდ.

საქმეში ჩაუხედავი ადამიანი შეიძლება შეეკითხოს, ნუთუ ერთ ადგ ღღეში 400 ლიტრზე მეტი წყალი სჭირდებათ. თორმე სჭირდება. ავტორიტეტულმა კომისიებმა შეადგინეს წყლის ხარჯვა ორჯონიძისა და ლენინის რაიონების რამდენიმე საბინაო-საექსპლოატაციო ინტორატში. დაუფიქრეს ახალი წყალსაზომები, შეუკეთეს არმატურა და წყლის სამუშაოო სადოეიმისო ხარჯმა ორჯონიძისს რაიონის ერთ-ერთ საბინაო-საექსპლოატაციო ინტორატში ერთ სულ მოსახლეზე შეადგინა 836 ლიტრი, ლენინის რაიონში კიდევ უფრო მეტი — 1270 ლიტრი (თქმენ ალბათ ალბალ მე-9 საბინაო-საექსპლოატაციო ინტორატ), ხოლო ვერდანის რაიონში 1009 ლიტრი (მე-13 საბინაო-საექსპლოატაციო ინტორატ).

სამხრეთის პირობებში, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ზაფხულში, ბევრი წყალი იხარჯება. და აქ უნდა ვიუსაყვედურეთ „თბილისწყალკანალიზაციის“ მუშაკებს, რომლებიც ამტკიცებენ საოჯახო საჭიროებისათვის ერთ სულზე 211 ლიტრი ნორმაა, თქმა ჩვენს ქვეყანაში პრესპექტიული წყალმომარაგება 400-500 ლიტრს გულისხმობს. განა ნათელი არ არის, რომ „თბილისწყალკანალიზაციის“ მუშაკთა ორიენტაცია მოძველებულია?

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს არ უნდა ვეძებოდეთ წყლის უთავბოლო ხარჯვას, როცა ოჯახს მოუშვებენ ზოლმე ერთი ბოთლი „ბორჯომის“ თუ საზამთროს, გასაციებლად, ან იმ მიზნით, რომ განუწყვეტლივ ციცი წყალი მოდიოდეს. ამის ბრალიც ხომ არის, რომ მრავალ ათას სხვა მოქალაქის ყელი უშრება უწყლობით?

ამ უთავბოლობას ხელს უწყობს უკონტროლობა. ქალაქში 30 ათასამდე კერძო სახლია. აქ წყალსაზომები არა აქვთ, და რამდენიც გინდა ხარჯოს, ფულს ერთნაირად იხდის. „თბილისწყალკანალიზაციის“ მუშაკებს, გაანგარიშების თანახმად, მიიჩნიათ, რომ ამ სახლებში წელიწადში დაახლოებით 21 მილიონი კუბური მეტრი წყალი იხარჯება. სინამდვილეში კი უნდა ვიფარაფუოთო, რომ ეს ციფრი სულ ცოტა, ორჯერ მეტი უნდა იყოს და კერძო სახლებში აღურიცხავად იკარგება დაახლოებით 22 მილიონი კუბური მეტრი წყალი, ეტყობა ამას იმ დანაკარგში ჩამოწერენ ხოლმე, რომელმაც „თბილისწყალკანალიზაციის“ გაანგარიშებით, 1978 წელს ასტრონომიული ციფრი — 42,7 მილიონი კუბური მეტრი შეადგინა. განა ეს ადამიანთათვის უყაირათობა არ არის კერძო სახლების მფლობელთა მხრივ?

მერედა, განა ხელს უწყობს ყაირათიანობას წყლის ქრის გადახდის წესი, რომელიც სახლიმწიფო და საუწყებო სახლებისათვის არის დადგენილი? საბინაოსაექსპლოატაციო კანტორები „თბილისწყალკანალიზაციას“ წყლისაზომების მიერ ნაჩვენები ფაქტობრივი მოკეთლობის მიხედვით ეზღვევა წყალს, თვითონ კი მდგმურებს ერთ სულ მოსახლეზე ნორმით დადგენილი ხარჯების მიხედვით ახდევინებენ ამ ქირას. ჰოდა, მიდი, დღეში თუნდაც ათასი ლიტრა დაბარეკ, რა ვენაოდ-ლება, მაინც კანტორა გადაიხდის(?!). მაშ ვინ და რატომ დაზოგავს წყალს?

1978 წელს ქალაქის სახელმწიფო და საუწყებო ფონდის სახლების მეხოვრეობებმა დაახლოებით 135 მილიონი კუბური მეტრი წყალი მოიხმარეს, რისთვისაც გადახდილი თანხა 60,3 მილიონი კუბური მეტრის ფასს უდრიდა, 74,7 მილიონი კუბური მეტრის ფასი კი საბინაო-საექსპლ ო ატაციო კანტორებმა საკუთარი ბიუჯეტიდან დაფარეს. როგორც ხედავთ, თვით ქირის გადახდის არსებული სისტემა უბიძგებს წყლის უშუალო მომხმარებელს დაუზოგავად ხარჯოს იგი.

აქ ჯერჯერობით უნდა აღვადგინოთ მაინც ქალაქში წყლის ქირის გადახდის ძველად არსებული წესი, როცა ყოველ სახლს ცალკე დირიცხებოდა გადასახადი თანხა წყალსაზომის ჩვენების მიხედვით და ეს თანხა მდგმურებს შორის ნაწილდებოდა. ეს სანახევრო ლონისძიებაც კი რაღაც ავიშის დაამყარებდა წყლის უშოალო მომხმარებლის ჯიბესთან. მაგრამ იმისათვის, რომ წყალს მართლა ყველა გაუფრთხილდეს, ერთადერთი რადიკალური და სამართლიანი გამოსავალი ის იქნება, თუ ყოველ ბინაში დადგამთ წყალსაზომს, რაც ბევრად უფრო ყაირათიანს გახდის ახალი წყლის მფლანგველებს.

რა წესრიგი უნდა იყოს წყლის ხარჯვის აღრიცხვასა და ანგარიშსწორებაში, როცა ამ უზარმაზარ ქალაქში სულ 13.900 წყალსაზომია, რომელთაგან 1979 წლის 1 ივლისის მონაცემებით სამი ათასი არ მუშაობდა.

რა თქმა უნდა, ზემოხსენებული ღონისძიება ძალზე რთული საქმეა, მაგრამ სხვანაირად ვერ მოვაგვარებთ ამ საკითხს.

აი კიდევ ერთი მაგალითი. ქალაქს წყალი არ ჰყოფნიდა. იმის ნაცვლად, რომ უფრო პერსპექტიულად გადაეწყვიტათ ამოცანა, დაეჩქარებინათ ინფალიდან წყლის მოწოდება, მთელი სიგრძე-სიგანით დაესვათ თრიალეთის წყაროების (წალკის რაიონი) პრობლემა, ამ წყაროებს კი წელიწადში 190 მილიონი კუბური მეტრი შესანიშნავი წყლის მოცემა შეუძლიათ, „თბილისწყალკანალიზაციის“ მუშაკებმა შეიდომაში შეიყვანეს ქალაქის ხელმძღვანელი ორგანიზაციები თავიანთი პალიატიური ღონისძიებებით და წყლით მომარაგების შესახებ მეცადინი ინფორმაციით. განა ასეთი პალიატივი არ იყო, როცა ყურადღება ჩამოაშორეს ინფალის მშენებლობის დაჩქარების საჭიროებას და თბილისის ზღვაზე ფრონებითი ტუმბო დადგეს. ყოველწლიურად დაახლოებით 70 მილიონ კუბურ მეტრ წყალს ტუმბავდნენ ქალაქის მოსამარაგებლად. შეუწყნარებელია ამ საქმის მიყვანა ისეთ კატასტროფულ მდგომარეობამდე, როცა იძულებული არიან ფრონებით საკითხი, რაც მისი ძირეული გადაჭრის გადადებას იწვევს.

მარტო წყალმომარაგება როდი დაზარალდა. დაზარალდა თბილისის ზღვაც, რომელიც სამგზის ვერის მოსარწყავად არის გათვალისწინებული და ქალაქის მშვენებაა — ჯერ გალენას ახდენს მის კლიმატზე და თბილისელების საყვარელი დასასვენებელი ადგილია. მისი ტევადობა (310 მილიონი კუბური მეტრი) მხოლოდ რწყვისათვის არის ნავარაუდევი. ცხადია, როცა წელიწადში ეს გაუთვალისწინებელი 70 მილიონი კუბური წყალი მოაკლდა, წყლის ბალანსი დაირღვა და წყალსაცავი გათავთხელდა. ეს არის ბუნების დაცვა?

ერთი სიტყვით, ბუნებასაც უნდა გავუთვალისწინოთ და წესრიგიც დავამყაროთ. ზღვა უნდა გავთავისუფლოთ ზედმეტი „დატვირთვისაგან“. ქალაქს მეტი წყალი უნდა მიეცეთ და ხარჯვის საკითხიც მოვაწესრიგოთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნორმალურად ისეთი მდგომარეობა მიგვაჩნია, როცა ნებისმიერ ოჯახს გახსნი და, დღე იქნება თუ ღამე, ჩხრიალით წამოვა წყალი.

წყალმომარაგება გადაუჭრელი პრობლემად იქცა საქართველოს მშვენიერ დედაქალაქს. და ეს მიგვაჩნია ქალაქთმშენებელთა დიდ შეცდომად, რომლის გამოსწორების გადადება შეუწყნარებელია. ეს ყველას კარგად უნდა ესმოდეს.

ვლ. მდივანი.

ოლიმპიური სიმბოლიკით

თბილისის საშენ მასალათა კომბინატი კომუნისტური შრომის საწარმოა. მისი კოლექტივი წარმატებებს აღწევს ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით და განსაკუთრებით პროდუქციის ხარისხის, გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

მომხმარებელს მოსწონს აქ დამზადებული, ხარისხის სახელმწიფო ნიშნიანი სხვადასხვა სახეობის კერამიკული ნაკეთობანი. ისინი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში იგზავნება. ქართული კერამიკული ნაწარმი მოიწონეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, კანადაში, ინგლისში, ჰოლანდიაში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვა ქვეყნებში. ახლახან კომბინატმა ზოგიერთი სახეობის პროდუქციის „ბამოშვება ოლიმპიური სიმბოლიკით დაიწყო.

კომბინატის ერთ-ერთი მთავარი უბანია წითელი კერამიკის საამქრო. ფასდაფიქრებელია ამ საამქროს კოლექტივის წელიწადი საწარმოს საერთო წარმატებაში. სწორედ აქ აითვისეს პროდუქციის გამოშვება ოლიმპიური სიმბოლოებით, მზადდება საზღვარგარეთ გასაგზავნად ბათვალისწინებული კერამიკული ნაწარმი. აქ დაიწყო გიგანტური, შეუნელებელი ბრძოლა უმაღლესი ხარისხის გამოშვების გამო.

სურათებზე: წითელი კერამიკის საამქროს უფროსი, კომკავშირელი მ. ანდღულაძე ამოწმებს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის მოწინავე მსხმელის ნ. წიქაძის ნახელავს; ოლიმპიურსიმბოლიკიანი კერამიკა.

ა. საკაკოვის ფოტო.

სასიამოვნოა, რომ საამქროში მომუშავეთა ნახევარზე მეტი ახალგაზრდობაა. წითელი კერამიკის კომკავშირული საწარმოში ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულ შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მეროშენი არიან. საამქროს კომკავშირელები ხუთწლედის დამდეგიდან არაერთხელ გამხდარან ახალი ფორმის შრომითი მეტოქეობის თაოსნები.

„ოლპარი“ — „მეჭეჭვსლედ“

ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში გამოვიზადდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონობა ა. ალბერტ პოვმა ულკი მეიჩასიდ მოიპოვა. წლის საუკეთესო მოჭიდაობელად ცნობილ „ოსკარიც“ მას გადაეცა. ... პრიზი მან 1973, 1974, 1975, 1976 და 1977 წლებშიც ... ოო. ამჟერად 36 ქვეყნის 11 ... მა საჭიდაოო მიმომხილველ ... ქარპოვის 1218 ქულა მიიკრიბა. 1203 ქულით მეორე ადგილი მოიპოვა მ. ტალმა. საბჭოთა მოჭიდაოკეთაგან საუკეთესო ათეულში ეარეთვე შეიკრიბნენ გ. ალსპაროვი (V ადგილი, 545 ქულა), ტ. პეტროსიანი (რ. ჰოუბნერთან ერთად VI-VII ადგილები ეანაწილა, 525-525 ქულა) და ლ. ბოლდაკეანსკი (VIII ადგილი, 49 ქულა).

კალენდარი ცნობილია

საქართველოს სსრ სპორტკომიტეტის ფეხბურთის სექციის ... ოთველოს უფროსმა ა. ჭკუასელმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ სკ ... ავშირის თასის წლევანდელ ... ვალთამაშებში საქართველოს ... მი გუნდი (თბილისის „დინამო“, ქუთაისის „ტორპედო“ და ლანჩხუთის „გურია“) ... ეიღებს მონაწილეობას. „დინამო“ და „ტორპედო“ პირველი ეტაპის მაჩჩებს გამართავენ თბილისში, ხოლო „გურია“ ... ლუშანბეს ჭეკჭაოეში ითამაშებს. ამ ეტაპზე გუნდები ... წრედ ისასპარეზებენ. შემდეგ კი ძალაში შევა ოლიმპიური სისტემა. რვა ჯგუფში I-II ... ადგილებზე ასული გუნდები მერვეფინალურ მატჩებს ... მართავენ და ა. შ.

გთავაზობთ ფუშანბესა თბილისის ქვეჯგუფებში მოწვეული გუნდების კალენდარს.

დუშანბე

27 თებერვალი. „ეკ... ხოზჩი“ (აშხაბადი), ასკ ... ტოვი)-„ურალმაში“ (სვერდ... ლოვსკი), „გურია“ (ლენინ... თი)-„პამირი“ (დუშანბე).

1 მარტი. „კოლხოზჩი“-„პ... მირი“, „ურალმაში“-„გურია“ ... ცსკა-ასკ. **4 მარტი.** ასკ-„კოლ... ხოზჩი“, „გურია“-ცსკა, „პამ... რი“-„ურალმაში“. **7 მარტ...** „კოლხოზჩი“-„ურალ მაში“ ... ცსკა-„პამირი“, ასკ-„გურია“. **10 მარტი.** „გურია“-„კოლ... ხოზჩი“, „პამირი“-ასკ. „ურალ... მაში“-ცსკა.

თბილისი

27 თებერვალი. „დინამო“ (თბილისი)-ასკ; (ხაბაროვსკი) „ყაირათი“-ასკ; (ოდესა). „ტორპედო“ (ქუთაისი)-„ბაკარეკ“ (ოჩაკონიძე).

1 მარტი. ასკ; (ხაბაროვსკი) „სპარტაკი“, ასკ; (ოდესა) „ტორპედო“, „დინამო“-„ყაირათი“. **4 მარტი.** „ყაირათი“-ასკ (ხაბაროვსკი). „ტორპედო“-„დინამო“, „სპარტაკი“-ასკ (ოდესა). **7 მარტი.** ასკ; (ხაბაროვსკი)-ასკ (ოდესა). „დინამო“-„სპარტაკი“, „ყაირათი“-„ტორპედო“. **10 მარტი.** „ტორპედო“-ასკ (ხაბაროვსკი) „სპარტაკი“-„ყაირათი“, ასკ (ოდესა)-„დინამო“.

სატურნირო ცხრილი

ფეხბურთი. ინგლისის ... ტინვეგ ფორესტმა“ ესპანეთ... „ბარსელონასთან“ ფრედ (1:1) დამთავრა სუპერთასის ფინალის განმეორებითი მატჩი ... ჯილდოს დაეუფლა (ინგლ...) ... ბა პირველი შეხვედრა ... ეგეს ანგარიშით 1:0). როგორ... წესი, სუპერთასი თამაშდ... (1972 წლიდან) ევროპის ჩა... ნების ჩემპიონთა თასისა ... თასების მფლობელთა თა... ტურნირებში გამარჯვებულ... შორის. 1972 და 1973 წლებ... სუპერთასს ზეიდიზედ ორ... დაეუფლა ამსტერდამის „აია... სი“, 1974 წელს ეგი არ ... თამაშებულა. 1975 წელს თა... მოიპოვა კიევის „დინამომ“ ... 1976 და 1978 წლებში — ბ... უსელის „ანდერლეხტმა“, 19... წელს კი ინგლისის „ლივერპ... ლმა“.

სსრ კავშირის ახალგაზ... დულმა ნაკრებმა არგენტინ... კიევი ერთი ამხანაგური მ... ჩი გამართა, ამჟერად ... ბოლოს პროვინციის ახალგაზ... — 2:1.

აპრობატია. კრასნოიარსკ... ში დამთავრდა სსრ კავშირ... თასების ბოლო ... ამაშეება. თბილ... ელებმა ნინა კიკილაშვილ... მანანა მნათობიშვილმა და ... შილაძემ დიდი წარმატ... მოიპოვეს. მათ ქალთა ... ლების ასპარეზობაში ... ადგილი დაიკავეს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

მეგობრობის მერიდიანებზე

სასიკეთო საფუძველი

ბუენოს ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ვერდის ოპერა „აიდაზე“ დაიწყო ხარკოვისა და თბილისის ორი აკადემიური თეატრის შემოქმედებითი თანამეგობრობის დღეები. სპექტაკლში ქართველ მომღერლებთან ერთად მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნ. მანოილო, უკრაინის დამსახურებული არტისტები ა. რეზნიკოვა, ა. დუბინინი, ი. იაკუბენკო.

სპექტაკლს დირიჟორობდა ხარკოვის ნ. ლისენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მთავარი დირიჟორი ი. სკიბინსკი.

ერთი კვირის მანძილზე უკრაინელი მსახიობები იმღერებენ ოპერებში „ტრუბადური“, „დაისი“, „შეასრულებენ წამყვან პარტიებს ბალეტებში „ციცელი“ და „ბიდის ტბა“.

მომმღერებელს მოსწონს აქ დამზადებული, ხარისხის სახელმწიფო ნიშნიანი სხვადასხვა სახეობის კერამიკული ნაკეთობანი. ისინი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში იგზავნება. ქართველ მომღერალ-ბალეტმეისტერ ... ...